საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგლიძე ვიქტორ არსენის ძე



ვ. ა. გოგლიძე

გოგლიძე ვიქტორ არსენის ძე (26. XI. 1905, დაბა ურსატიევსკაია, ახლანდ. ხავასთი, უზბეკეთი, – 22. IX. 1964, თბილისი), მოჭადრაკე. პირველი ქართვ. სპორტის ოსტატი ჭადრაკში (1930), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1941), საერთაშ. ოსტატი (1950), საკავშ. კატეგორიის მსაჯი (1949).

1940 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი. მონაწილეობდა საქართვ. I ჩემპიონატში (1928, I–II ადგილი), ახალგაზრდა საბჭ. ოსტატთა ტურნირში (1934, I ადგილი), მოსკ. II საერთაშ. ტურნირში (1935), სადაც შეხვდა ე. ლასკერს, ხ. რ. კაპაბლანკას, მ. ბოტვინიკს, ს. ფლორს და სხვ. მონაწილეობდა სსრკ ჩემპიონატებში.

1936–56 იყო საქართვ. ჭადრაკის ფედერაციის თავ-რე. 1957 მისი თაოსნობით თბილისში გაიხსნა პირველი ბავშვთა საჭადრაკო სკოლა, რ-ის დირექტორი თვითონ იყო გარდაცვალებამდე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: გამოჩენილ მოჭადრაკეთა 100 კომბინაცია, თბ., 1958 (თანაავტ. ჰ. კასპარიანი); Избранные партии, Тб., 1949.

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე თ., ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა, თბ., 1985.

თ. შ. გიორგაძე